



ეკონომიკა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2022 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიურად 61.1%-ით გაიზარდა და ისტორიული მაქსიმუმში 2.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 8.1%-ია. აღნიშნულ პერიოდში, რეინვესტიციებმა მთლიანი ინვესტიციების 64.5% შეადგინა, ხოლო სააქციო კაპიტალი გასამმაგდა 686.3 აშშ დოლარამდე. 2022 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა საფინანსო სექტორში (526.4 მლნ აშშ დოლარი, +11.7% წ/წ, მთლიანის 26.3%), უძრავი ქონების (406.9 მლნ აშშ დოლარი, +9.6x წ/წ, მთლიანის 20.3%), წყალმომარაგებისა (197.0 მლნ აშშ დოლარი, +526.7x წ/წ, მთლიანის 9.9%) და ხელოვნება, გართობის (173.1 მლნ აშშ დოლარი, -25.4% წ/წ, მთლიანის 8.7%) სექტორებში. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ გაერთიანებული სამეფო (428.3 მლნ აშშ დოლარი), ესპანეთი (367.0 მლნ აშშ დოლარი) და აშშ (163.9 მლნ აშშ დოლარი).

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები წლიურად 5.5%-ით გაიზარდა 2023 წლის იანვარში, წინა თვის 3.9%-იანი ზრდის შემდეგ და საკრედიტო პორტფელმა 44.5 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, იანვარში სესხების პორტფელის წლიური ზრდა 13.3%-მდე დაჩქარდა (+12.1% წ/წ წინა თვეში). სექტორების მიხედვით, დაჩქარდა როგორც კორპორატიული, ისე საცალო დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპები, პირველის შემთხვევაში ზრდა 10.0% იყო (+8.6% წინა თვეში), ხოლო მეორეს შემთხვევაში ზრდამ 16.4% შეადგინა (+15.4% წინა თვეში); აქედან, იპოთეკური სესხების პორტფელი წლიურად 13.2%-ით გაიზარდა, წინა თვის 12.2%-იანი ზრდის შემდეგ. 2023 წლის იანვარში სესხების დოლარიზაცია მცირედით 44.7%-მდე გაიზარდა (-5.25პპ წ/წ და +0.41პპ თ/თ), ხოლო უმოქმედო სესხები 1.8%-ს გაუტოლდა (-0.13პპ წ/წ და +0.17პპ თ/თ).

საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები წლიურად 29.2%-ით გაიზარდა და 43.6 მლრდ ლარი შეადგინა 2023 წლის იანვარში (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით). ვალუტების მიხედვით, იანვარში ლარის დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 29.3% (+30.3% წინა თვეში), ხოლო უცხოური ვალუტის დეპოზიტების წლიურმა ზრდამ (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) 29.1% შეადგინა, წინა თვის მსგავსად. ამასთან, იანვარში დეპოზიტების დოლარიზაციის შემცირება გაგრძელდა და 54.9% შეადგინა (-3.70პპ წ/წ და -1.22პპ თ/თ), რაც 1998 წლის მარტის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.


საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2023 წლის თებერვალში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წლიურად 18.2%-ით გაიზარდა და 4.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, წინა თვესთან შედარებით რეზერვები 3.7%-ით შემცირდა (-179.1 მლნ აშშ დოლარი) იყო. რეზერვების ცვლილება უკავშირდება მთავრობის და საბანკო სექტორის სავალუტო ოპერაციებს.

ეკონომიკური ინდიკატორები

| | 2021 | 2022E |
|---------------------------------|-----------|--------|
| რეალური მშპ-ს ზრდა | 10.5% | 10.1% |
| მშპ ერთ სულზე (ppp) | 16,937 | 19,456 |
| მშპ ერთ სულზე (აშშ \$) | 5,023 | 6,656 |
| მოსახლეობა (მლნ) | 3.7 | 3.7 |
| ინფლაცია, პერიოდის ბოლო | 13.9% | 9.8% |
| საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$) | 4.3 | 4.9 |
| მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %) | 10.4% | 3.1% |
| ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %) | 6.1% | 3.1% |
| სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %) | 49.6% | 39.8% |
| Fitch/S&P/Moody's* | BB/BB/Ba2 | |


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & თაგარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი)



წყარო: საქსტატი

საბანკო სესხების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: სუბ



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 7 მარტს 2-წლიანი 40 მლნ ლარის (15.4 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის ბენჩმარკ ბონდები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 1.8-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.08133-ით შემცირდა და 8.618% შეადგინა.

ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2023 წლის 7 მარტს 6-თვიანი 20 მლნ ლარის (7.7 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 1.5-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.16633-ით გაიზარდა და 9.643% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2023 წლის 14 მარტს, სადაც 1-წლიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2023 წელი

| მადიანობა | გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი | დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი | დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი* |
|------------|--------------------------------------|------------------------------|---------------------------------|
| 6-თვე | 60 | 180 | 415 |
| 1-წელი | 40 | 200 | |
| 2-წელი | 129 | 360 | |
| 5-წელი | 198 | 900 | 6,254 |
| 10-წელი | 120 | 900 | |
| სულ | 547 | 2,540 | 6,669 |


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
* 2023 წლის იანვრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 98.25 (+0.22% წინა კვირასთან შედარებით), 8.00%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 86.53 ფასად (-1.69% წინა კვირასთან შედარებით), 7.11%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 90.17 (-0.68% წინა კვირასთან შედარებით), 6.28%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

| გამომწვები | ვალუტა | მოცულობა, მლნ აშშ \$ | კუპონი | დაფარვის თარიღი | რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope) | საშუალო ფასი | საშუალო პროცენტი, % | Z-spread, bps |
|-------------------|--------|----------------------|---------|-----------------|------------------------------------|--------------|---------------------|---------------|
| GEORG 04/26 | USD | 500 | 2.750% | Apr-26 | BB/BB/Ba2 | 90.17 | 6.28 | 204.75 |
| GRAIL 06/28 | USD | 500 | 4.000% | Jun-28 | BB-/BB/- | 86.53 | 7.11 | 332.37 |
| GEBGG 07/23 | USD | 350 | 6.000% | Jul-23 | BB-/Ba2 | n/a | n/a | n/a |
| GEBGG 11 1/8 PERP | USD | 100 | 11.125% | n/a | B-/B- | 99.74 | 12.57 | 616.51 |
| GEOCAP 03/24 | USD | 300 | 6.125% | Mar-24 | -/B+/B1 | 98.25 | 8.00 | 268.57 |
| SILKNET 01/27 | USD | 300 | 8.375% | Jan-27 | B+/-/B1 | 98.22 | 8.92 | 485.24 |
| TBC 06/24 | USD | 300 | 5.750% | Jun-24 | BB-/Ba2 | 98.49 | 7.01 | 185.11 |
| TBC PERP | USD | 125 | 10.775% | n/a | B-/B- | 96.18 | 13.55 | 853.70 |

ადგილობრივი ობლიგაციები


| | | | | | | | | |
|---------------------------|-----|----|--------|--------|-------|-------|------|-------|
| GLC | USD | 12 | 5.75% | Jul-23 | -/-/- | 99.90 | 5.88 | n/a |
| GLC | EUR | 3 | 4.75% | Jul-23 | -/-/- | 99.99 | 4.75 | n/a |
| Lisi Lake Development | USD | 12 | 6.50% | Dec-23 | -/-/- | 99.49 | 6.75 | n/a |
| Lisi Lake Development | USD | 10 | 8.50% | Dec-24 | -/-/- | n/a | n/a | n/a |
| IG Development | USD | 15 | 6.75% | Jan-24 | -/-/- | 97.35 | 8.90 | n/a |
| IG Development | USD | 15 | 8.50% | Jul-24 | -/-/- | 99.77 | 8.65 | n/a |
| Georgia Real Estate | USD | 35 | 8.50% | Oct-24 | -/-/- | 99.73 | 8.65 | n/a |
| Geo. Beer Company | GEL | 25 | 15.50% | Dec-23 | -/-/- | n/a | n/a | n/a |
| Evex Hospitals | GEL | 50 | 13.60% | Nov-24 | -/-/- | n/a | n/a | n/a |
| Nikora Trade | GEL | 35 | 13.62% | Nov-24 | -/-/- | n/a | n/a | n/a |
| Geo Renewable Power Oper. | USD | 80 | 7.00% | Oct-27 | -/-/- | n/a | n/a | -/-/- |

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 27.10 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -7.67% წინა კვირასთან შედარებით და +1.31% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 527 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 26.20 - 30.30 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 84 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 23.70 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -3.85% წინა კვირასთან შედარებით და -1.86% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 217 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 22.65 - 25.25 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 51 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 7.94 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -5.48% წინა კვირასთან შედარებით და +4.47% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 392 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 7.94 - 8.50 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 54 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

| | ტიკერი | ვალუტა | აქციის ფასი | კაპიტალიზაცია | 6 თვე, ცვლ. | წ/წ ცვლ. | წლის დას. | P/E | | | P/B | | |
|--------------------|--------|--------|-------------|---------------|-------------|----------|-----------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| | | | | | | | | 2021 | 2022F | 2023F | 2021 | 2022F | 2023F |
| Bank of Georgia | BGEO | GBP | 27.10 | 1,332 | 27.5% | 138.6% | 4.0% | 4.58x | 3.35x | 4.10x | 1.06x | 1.05x | 0.80x |
| TBC | TBC | GBP | 23.70 | 1,307 | 25.9% | 138.0% | 4.4% | 4.75x | 4.40x | 4.00x | 1.04x | 0.95x | 0.91x |
| Halyk Bank | HSBK | USD | 10.98 | 2,994 | 11.7% | 26.8% | -1.1% | 2.60x | 2.90x | 2.93x | 0.76x | 0.74x | 0.62x |
| Akbank | AKBNK | TRY | 19.52 | 101,504 | 22.6% | 178.9% | -0.2% | 6.04x | 1.75x | 2.47x | 0.96x | 0.79x | 0.58x |
| Garanti | GARAN | TRY | 28.46 | 119,532 | 8.7% | 142.8% | -5.3% | 7.12x | 2.18x | 2.81x | 1.20x | 0.89x | 0.69x |
| Isbank | ISCTR | TRY | 14.56 | 65,520 | 17.0% | 299.9% | 14.0% | 2.87x | 1.22x | 1.43x | 0.99x | 0.70x | 0.65x |
| PKO | PKO | PLN | 29.78 | 37,225 | 22.6% | -17.2% | -1.7% | 6.63x | 10.52x | 6.02x | 0.86x | 1.07x | 0.95x |
| PEKAO | PEO | PLN | 85.62 | 22,473 | 24.8% | -15.4% | -1.0% | 9.22x | 7.69x | 6.04x | 0.84x | 0.98x | 0.87x |
| Millennium | MIL | PLN | 4.37 | 5,299 | 8.7% | -28.3% | -4.6% | na | 2.21x | 2.51x | 0.81x | 1.11x | 0.89x |
| Mbank | MBK | PLN | 304.20 | 12,893 | 23.8% | -10.4% | 2.8% | na | na | 13.26x | 0.83x | 1.03x | 0.78x |
| BRD | BRD | RON | 13.00 | 9,060 | 2.0% | -31.1% | 0.0% | 6.06x | 6.99x | 6.20x | 0.81x | 1.40x | 1.19x |
| Banca Transilvania | TLV | RON | 19.18 | 121,054 | -1.4% | -8.5% | -3.7% | na | na | na | 1.24x | 1.27x | 1.24x |
| Komerčni | KOMB | CZK | 731.50 | 139,021 | 14.7% | -2.6% | 11.7% | 11.10x | 8.42x | 9.19x | 1.14x | 1.12x | 1.05x |
| საშუალო | | | | | | | | 6.34x | 4.69x | 5.08x | 0.94x | 1.01x | 0.86x |
| მედიანა | | | | | | | | 6.06x | 3.35x | 4.05x | 0.91x | 1.03x | 0.87x |

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

| | ტიკერი | ვალუტა | აქციის ფასი | კაპიტალიზაცია | 6 თვე, ცვლ. | წ/წ ცვლ. | წლის დას. | P/E | | | P/B | | |
|--------------------------------|--------|--------|-------------|---------------|-------------|----------|-----------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|--------------|
| | | | | | | | | 2021 | 2022F | 2023F | 2021 | 2022F | 2023F |
| Georgia Capital | CGEO | GBP | 7.94 | 370 | 15.4% | 51.5% | 8.8% | 1.80x | na | na | 0.41x | na | na |
| Tinc Comm | TINC | EUR | 12.40 | 451 | -7.0% | -6.1% | -0.8% | 13.85x | na | na | 0.94x | na | na |
| Sabancı Holding | SAHOL | TRY | 44.74 | 91,288 | 56.7% | 189.8% | -0.8% | 5.61x | 2.43x | 3.74x | 1.31x | 0.96x | 0.72x |
| Deutsche Beteiligungs | DBAN | EUR | 27.55 | 518 | 0.5% | 1.1% | -1.3% | 2.57x | na | 6.86x | 0.68x | 1.03x | 0.82x |
| Eurazeo | RF | EUR | 66.10 | 5,237 | 12.2% | -4.1% | 13.8% | 2.91x | 14.90x | 9.94x | 0.72x | 0.74x | 0.71x |
| Carlyle Group | CG | USD | 31.59 | 11,256 | -4.5% | -26.1% | 5.9% | 3.34x | 7.29x | 7.95x | 1.87x | 2.72x | 2.13x |
| Wendel SE | MF | EUR | 101.50 | 4,542 | 28.9% | 20.8% | 16.4% | 3.45x | 8.43x | 8.40x | 1.35x | 1.59x | 1.41x |
| HgCapital Trust | HGT | GBP | 3.37 | 1,534 | -8.5% | -16.4% | -3.9% | na | na | na | na | na | na |
| NB Private Equity Partners | NBPE | GBP | 16.40 | 715 | 0.6% | 2.5% | 2.5% | na | na | na | na | na | na |
| Oakley Capital Investments | OCI | GBP | 4.66 | 831 | 13.1% | 16.4% | 11.0% | na | na | na | na | na | na |
| Princess Private Equity | PEY | EUR | 9.88 | 683 | -12.2% | -18.7% | 17.1% | 3.10x | na | na | 0.52x | na | na |
| Symphony International Holding | SIHL | USD | 0.42 | 215 | -15.7% | 12.9% | -6.5% | 1.78x | na | na | 0.45x | na | na |
| საშუალო | | | | | | | | 4.27x | 8.26x | 7.38x | 0.92x | 1.41x | 1.16x |
| მედიანა | | | | | | | | 3.10x | 7.86x | 7.95x | 0.72x | 1.03x | 0.82x |

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვრებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაზე.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge